<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ახალგაზრდობის მხარდაჭერა, მათი უნარების რეალიზაციის შესაძლებლობა და საქმიანობის სტიმულირება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, არაფორმალური საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობა, მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ ღონისძიებებში. ჩატარდება თემატური ფესტივალები, გასართობი,</p>



შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობები. მოეწყობა ახალგაზრდული ბანაკები, ლაშქრობები და სხვა ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

ღონისძიებებში ჩართული მეტი ახალგაზრდა და მხარდაჭერილი ინციატივები.

## ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი, არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ადგილობრივ დონეზე, გაგრძელდება სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ლარი

		2021 წელი ფაქტი	2022 წელი გეგმა	2023 წელი გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	933 920,26	1 406 685,0	1 273 200.0

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 01
პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ა(ა)იპ "ქარელის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრი"
დაფინანსება	150 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით.</p> <p>აღნიშნული პროგრამა არის კანონმდებლობით გათვალისწინებული დელეგირებული ფუნქცია, რომლისათვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა მიზნობრივი ტრანსფერი. პროგრამა მოიცავს: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლს, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვას და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფას სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვებას და წარდგენას დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობას, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელებას, დაავადებათა ადრეულ გამოვლენას და პროფილაქტიკას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას ეპიდსამიწროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებას, დეჰელმინთიზაციას ანტიჰელმინთური პრეპარატის გაცემით, პარაზიტული დაავადებების პირველად ეპიდკვლევას, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და პროფილაქტიკის, სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას და შერჩევითი კონტროლის</p>



	განხორციელებას. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინულ მონიტორინგს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგს და კანონით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
მოსალოდნელი შედეგი	ჯანმრთელი მოსახლეობა, თავიდან აცილებული სხვადასხვა დაავადებები და ეპიდემიები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 01</b>
პროგრამის დასახელება:	<b>გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>90 000.00 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა.</p> <p>უფასო სასაბუღალტრო კვების პროგრამით ისარგებლებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უმწეო ოჯახის 90 ბენეფიციარი, რომელთა სარიტინგო ქულა არ აღემატება 65 000 ქულას. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებენ უკვე რეგისტრირებული ბენეფიციარები, ხოლო ადგილის გათავისუფლების შემთხვევაში (გარდაცვალება, უარის თქმა პროგრამაზე, სარიტინგო ქულის მომატება, რეგულარულად (14 დღე) არ გამოცხადება, რეგისტრაციის ადგილის შეცვლა (სხვა მუნიციპალიტეტში გადასვლა) და სხვა), ჩანაცვლება განხორციელდება სარიტინგო ქულის, მრავალშვილიანობის და სხვა კრიტერიუმების მიხედვით. კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ყოველდღე, დღეში ერთხელ, დასვენების დღეების გარეშე.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დღეში ერთხელ კვებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 02</b>
პროგრამის დასახელება:	<b>მოსახლეობის მკურნალობა</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>714 900,00 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p> <p>საქართველოში მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სხვადასხვა სახისა და მოცულობის, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო პროგრამები. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ რომელიც ძალაშია 2013 წლის 28 თებერვლიდან, მოიცავს მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, სადაც დეტალურად გაწერილია ყველა სერვისი, რომელსაც ანაზღაურებს სახელმწიფო. აღნიშნული დადგენილების მოქმედების სფეროში ვერ ხვდება ზოგიერთი დაავადების მკურნალობის ღირებულების სრული ანაზღაურება, რაც დღეის მდგომარეობით, მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის საკმაოდ მძიმე ტვირთია. აქედან გამომდინარე, ქარელის მუნიციპალიტეტში დამუშავდა</p>



მოსახლეობის მკურნალობის დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მკურნალობის, ოპერაციის, ან გამოკვლევის (გარდა: კოსმეტიკური პროცედურებისა; ფაკიური ლინზის გადანერგვისა; რეფრაქციული ანომალიის კორექციისა ექსიმერული ლაზერით - LASIK მეთოდით; ბარიატრიული ოპერაციებისა - 150 000 ჟულის ზემოთ; ექიმის ჰონორარისა.) ა) ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილის თანადაფინანსებას 40%-ით, მაგრამ არა უმეტეს 4000 ლარისა, წლის განმავლობაში ერთჯერადად.

**პროგრამის მიზანი და აღწერა**

იმ კარდიოლოგიურ მომსახურებაზე, რომელიც ანაზღაურდება სახელმწიფოს მიერ "საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების ფარგლებში, თანადაფინანსება მოხდება სახელმწიფოს მიერ ამ დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის მიხედვით აუნაზღაურებელი ნაწილის 40%-ით.

იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 120 000 ქულის ჩათვლით და, რომელთა მკურნალობის, ან ოპერაციის ღირებულების აუნაზღაურებელი ნაწილი არ აღემატება 300 ლარს, დაფინანსება განხორციელდება 100%-ით, ხოლო თუ თანხა აღემატება 300 ლარს, ემატება 300 ლარს ზემოთ დარჩენილი თანხის 40 %-ი, წლის განმავლობაში ერთჯერადად.

დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები).

დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ანგარიშგაქტურა, წინასწარი კალკულაცია (რომელიც უნდა შეიცავდეს ორგანიზაციის რეკვიზიტებს), ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებელის პირადობის მოწმობის ასლი და/ან სხვა დოკუმენტი - საჭიროების შემთხვევაში”

**მოსალოდნელი შედეგი**

მეტად ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება. კმაყოფილი მოსახლეობა.

**პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:** 06 02 03

**პროგრამის დასახელება:** მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება

**პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:** ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური

**დაფინანსება** 117 000.0 ლარი

**პროგრამის მიზანი და აღწერა**

**პროგრამის მიზანია:** ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით, მრავალშვილიან ოჯახების დახმარება და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

მრავალშვილიან ოჯახებში, ახალშობილთა დახმარების პროგრამა ითვალისწინებს იმ ოჯახების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, რომელთაც შეეძინათ მესამე და ყოველი მომდევნო შვილი. პროგრამის მიხედვით, ოჯახს გაეწევა შემდეგი დახმარება: მესამე შვილის დაბადების შემთხვევაში 600 ლარი. მეოთხე შვილის დაბადების შემთხვევაში 800 ლარი. მეხუთე შვილის დაბადების შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე 1000 ლარზე 200-200 ლარის დამატებით. ტყუპების შემთხვევაში ინდივიდუალურად, რიგითობის გათვალისწინებით. დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).

2022 წლის დეკემბრის თვეში მრავალშვილიან ოჯახებში დაბადებულ ახალშობილთა დახმარება (ანაზღაურების გაცემა) შესაძლებელია 2023 წლის პირველ თებერვლამდე.

დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, ბავშვის(ბავშვების) დაბადების მოწმობები, მშობლების/მშობლის (მეურვის/ზრუნველის) პირადობის მოწმობის ასლი, განმცხადებლის (მშობელი, მეურვე და სხვა) საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა



	დამატებითი დოკუმენტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული მრავალშვილიანი ოჯახები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 04</b>
<b>პროგრამის დასახელება:</b>	<b>ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება</b>
<b>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</b>	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
<b>დაფინანსება</b>	<b>39 600.0 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ცელიაკით, ფენილკეტონურიით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება.</p> <p>ფენილკეტონურიით და ცელიაკით დაავადებულებს ესაჭიროებათ განსაკუთრებული საკვებით კვება, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირებს უწევთ სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცედურის ჩატარება სპეციალიზირებულ დაწესებულებაში. აღნიშნული დაავადებები წარმოადგენენ ისეთი დავადებების ნოზოლოგიას, რომელთაც ესაჭიროებათ განსაკუთრებული მკურნალობა.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, ცელიაკით, აგრეთვე ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის საკვებით დახმარებას, წლის განმავლობაში, თითოეულზე არა უმეტეს 2000 ლარისა, რომელიც საჭიროა შესაბამისი სახეობის საკვების შესამენად, ხოლო თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე მყოფ პირთათვის, ფინანსურ დახმარებას - წელიწადში ერთჯერადად 700 ლარის ოდენობით - გადაადგილებისათვის.</p> <p>დახმარებით ისარგებლებენ ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეები, მათ შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).</p> <p>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იქნას: ცელიაკით ან/და ფენილკეტონურიით დაავადების შემთხვევაში: განცხადება, წინასწარი ინვოისი, ფორმა 100, პაციენტის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაცია. თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობის (ჰემოდიალიზის) შემთხვევაში: განცხადება, ფორმა 100, პაციენტისა და განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლები, საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული ბენეფიციარები

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 05</b>
<b>პროგრამის დასახელება:</b>	<b>სტუდენტების სოციალური დახმარება</b>
<b>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</b>	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
<b>დაფინანსება</b>	<b>30 000.0 ლარი</b>
<b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> მარჩენალდაკარგული, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლის და სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტების წლიურად ერთჯერადი დახმარება.</p> <p>დახმარებას მიიღებენ: ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარჩენალდაკარგული სტუდენტები, პირველი ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, პირველი ჯგუფის შშმ პირთა სტუდენტი</p>



<p><b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b></p>	<p>შვილები, მართლხელა სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტი შვილები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ბაზაში რეგისტრირებული (რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0-დან 50 000-მდე ქულის ჩათვლით) მოქალაქეთა სტუდენტი შვილები, რომლებიც სწავლობენ საქართველოში რეგისტრირებულ აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში (კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებელში ბაკალავრიატი, რეზიდენტურა, ან მაგისტრატურა).</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს აღნიშნული კატეგორიის სტუდენტებზე წლიურად სწავლის გადასახადის ერთჯერადად დაფინანსებას 500 ლარის ოდენობით.</p> <p>სტუდენტების სოციალური დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, სწავლის დამადასტურებელი ცნობა აკრედიტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, განმცხადებლის/სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი(ებ)ი, სასწავლებლის საბანკო რეკვიზიტები, მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი(ებ)ი, პირველი ჯგუფის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან საერეიტინგო ქულათა ამონაწერი, საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სტუდენტების დაფინანსებული განათლება</p>

<p><b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b></p>	<p><b>06 02 06</b></p>
<p>პროგრამის დასახელება:</p>	<p><b>შშმ პირების დახმარება</b></p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</p>	<p>ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p><b>18 000,0 ლარი</b></p>
<p><b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b></p>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარება, რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და ინტეგრაცია, ქარელის მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებში.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს 25 წლამდე ასაკის შშმ პირების მიერ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ქარელის მუნიციპალიტეტში არსებულ დღის ცენტრებში. დახმარების გაწევა ხორციელდება თითოეულ შშმ პირზე წლის განმავლობაში ერთჯერადად 1800 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარებით ისარგებლებენ აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები(დევნილები).</p> <p>დახმარების მისაღებად მოქალაქის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას: განცხადება, შშმ პირის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვეობის, მზრუნველობის/მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთი არსებობის შემთხვევაში), ორგანიზაციის ხელმძღვანელის თანხმობა - თანდართული ხარჯთაღრიცხვით. ორგანიზაციის რეკვიზიტები, შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დახმარებაგაწეული შშმ პირები.</p>

<p><b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b></p>	<p><b>06 02 07</b></p>
<p>პროგრამის დასახელება:</p>	<p><b>მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება</b></p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</p>	<p>ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p><b>28 000,0 ლარი</b></p>
<p></p>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მკვეთრად</p>



<p><b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b></p>	<p>გამოხატული (ტოტალური)უსინათლოების დახმარება.</p> <p>პროგრამის მონაწილეებს გაეწევათ წელიწადში ერთჯერადად ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება(მეურვის/მზრუნველის), პირადობის მოწმობის ასლი, მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დახმარებაგაწეული მკვეთრად გამოხატული უსინათლო ბენეფიციარები.</p>

<p><b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b></p>	<p><b>06 02 08</b></p>
<p>პროგრამის დასახელება:</p>	<p><b>სამამულო ომის ვეტერანების დახმარება</b></p>
<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:</p>	<p>ქარელის მუნიციპალიტეტის მერის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p><b>1 000.0 ლარი</b></p>
<p><b>პროგრამის მიზანი და აღწერა</b></p>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სამამულო ომის ვეტერანების დახმარება.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს სამამულო ომის ვეტერანების დახმარებას 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით, თითოულზე ვეტერანზე 1000 ლარის ოდენობით.</p> <p>წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა, ან შესაბამისი ცნობა, საბანკო რეკვიზიტები., საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტაცია.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>დახმარებაგაწეული სამამულო ომის ვეტერანები.</p>





პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 09
პროგრამის დასახელება:	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	4 200.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან (26 მაისი) დაკავშირებით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ (კოდი 945) თითოეულ ვეტერანზე 300 ლარის ოდენობით.</p> <p>წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, პირადობის მოწმობის ასლი, ვეტერანის მოწმობა და ინვალიდიობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები</p>
	დახმარება გაწეული



მოსალოდნელი შედეგი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ვეტერანები.
--------------------	--

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 10</b>
პროგრამის დასახელება:	<b>100 წელს გადაცილებულ უზუცესთა დახმარება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>3 000,0 ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> 100 წელს გადაცილებულ უზუცესების დახმარება.</p> <p>წლის განმავლობაში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ უზუცესებზე 1000 ლარის გადაცემა თითოეულ უზუცესზე ერთჯერადად.</p> <p>წარმოსადგენი დოკუმენტაცია: უზუცესის პირადობის მოწმობის ასლი, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში - სხვა დოკუმენტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული 100 წელს გადაცილებული უზუცესები.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 11</b>
პროგრამის დასახელება:	<b>დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება</b>



პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	5 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება.</p> <p>ღონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება ორივე მშობლის გარდაცვალებისას - 1000 ლარის ოდენობით თითოეულ ბავშვზე.</p> <p>წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ბავშვის დაბადების მოწმობა, ცნობა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან ბავშვის რეგისტრაციის შესახებ, მშობლების გარდაცვალების მოწმობები, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, მეურვის/მზრუნველის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, საბანკო რეკვიზიტები და სხვა დოკუმენტები - საჭიროების შემთხვევაში.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვები.

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 12
პროგრამის დასახელება:	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების დაფინანსება



<p>პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმასხორციელებელი:</p>	<p>ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური</p>
<p>დაფინანსება</p>	<p><b>10 500.0 ლარი</b></p>
<p>პროგრამის მიზანი და აღწერა</p>	<p><b>პროგრამის მიზანია:</b>  უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტულო მომსახურების გაწევაში დახმარება.</p> <p>ლონისძიების ფარგლებში მოხდება ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტულო მომსახურების დაფინანსება ერთჯერადად 350 ლარის ოდენობით, გარდაცვლილის ახლობელზე, ან სხვა პირზე, ვინც ორგანიზებას უწევს გარდაცვლილის დაკრძალვას.</p> <p>დახმარების მისაღებად, პირის გარდაცვალებიდან 10 დღის ვადაში, ახლობლის, ან სხვა პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მოხსენებითი ბარათი, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები, ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ დამოწმებული არანაკლებ სამი მეზობლის ან ოჯახის წევრის მიერ ხელმოწერილი აქტი,</p>



	გარდაცვალების მოწმობა, სხვა დამატებითი ინფორმაცია-საჭიროების შემთხვევაში.
მოსალოდნელი შედეგი	დაფინანსებული სარიტუალო მომსახურება

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	<b>06 02 13</b>
პროგრამის დასახელება:	<b>ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>2 000.0 ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება.</p> <p>დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დახმარება გაიცემა ერთჯერადად, 250 ლარის ოდენობით, სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ რეგისტრირებულ (კოდი 945) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ პერიოდში გარდაცვლილ მეომართა იმ ოჯახის წევრებზე, ან სხვა პირზე, რომელიც ორგანიზებას უწყევს დაკრძალვას.</p> <p>დახმარების მისაღებად წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია: განცხადება, ვეტერანის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, გარდაცვალების მოწმობა, დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი,</p>



	საბანკო რეკვიზიტები, საჭიროების შემთხვევაში - სხვა დამატებითი ინფორმაცია.
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ პერიოდში გარდაცვლილ მეომართა ოჯახი, ან სხვა პირი, რომელმაც ორგანიზება გაუწია დაკრძალვას.

<b>პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:</b>	<b>06 02 14</b>
პროგრამის დასახელება:	<b>სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება</b>
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	<b>40 000.0 ლარი</b>
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> სტიქიური უბედურებებით გამოწვეული დაზარალებული მოსახლეობის დახმარება.</p> <p>პროგრამა ითვალისწინებს ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, მოქალაქეების პირად საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების და დამხმარე სათავსონაგებობების სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების 40%-ით. თუ ზარალის ოდენობა აღემატება 10 000 ლარს,</p>



ბენეფიციარი დაფინანსდება 10 000 ლარის 40%-ის ოდენობით.

დახმარება გაიცემა ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების (ხარჯთაღრიცხვის) და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საჭიროების შემთხვევაში, სხვა დამატებითი დოკუმენტაციის საფუძველზე.

სტიქიური უბედურებებით გამოწვეული დაზარალებული მოსახლეობის გაუმჯობესებული მდგომარეობა.

მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	06 02 15
პროგრამის დასახელება:	ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება
პროგრამაზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი:	ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახური
დაფინანსება	20 000.0 ლარი
პროგრამის მიზანი და აღწერა	<p><b>პროგრამის მიზანია:</b> ქარელის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება.</p> <p>პროგრამის მონაწილეებს გაეწევათ წელიწადში ერთჯერადად ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.</p> <p>დახმარების მისაღებად ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: განცხადება(მეურვის/მზრუნველის), პირადობის მოწმობის ასლი, ფორმა 100, მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობის ასლი, საბანკო რეკვიზიტები და საჭიროების შემთხვევაში სხვა დამატებითი დოკუმენტები.</p>
მოსალოდნელი შედეგი	დახმარებაგაწეული ცერებრალური დამბლის მქონე ბენეფიციარები.

**თავი III**

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**

**მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

ლარი

		2021 ფაქტი	2022 გეგმა	2023 გეგმა		
				სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
00 00	გადასახდლები	23 632 561,25	30 371 149,00	29 010 000,00	6 158 028,60	22 851 971,40
00 00	ხარჯები	9 511 046,88	12 740 689,91	14 711 591,00	0,00	14 711 591,00
00 00	შრომის ანაზღაურება	1 755 661,96	2 525 300,00	3 026 000,00	0,00	3 026 000,00
00 00	საქონელი და მომსახურება	962 273,15	1 349 299,91	934 691,00	0,00	934 691,00
00 00	პროცენტი	25 585,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
00 00	სუბსიდიები	5 631 958,21	6 887 127,00	9 049 200,00	0,00	9 049 200,00
00 00	გრანტები	54 100,00	131 515,00	141 900,00	0,00	141 900,00
00 00	სოციალური უზრუნველყოფა	773 228,94	1 148 685,00	1 083 200,00	0,00	1 083 200,00
00 00	სხვა ხარჯები	308 239,62	668 763,00	446 600,00	0,00	446 600,00
00 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	14 072 038,37	17 564 359,09	14 230 409,00	6 158 028,60	8 072 380,40
00 00	ძირითადი აქტივები	14 072 038,37	17 564 359,09	14 230 409,00	6 158 028,60	8 072 380,40
00 00	ვალდებულებების კლება	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
00 00	საშინაო	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	2 452 816,91	3 710 179,22	4 407 610,00	0,00	4 407 610,00
01 00	ხარჯები	2 400 534,91	3 466 479,22	4 079 191,00	0,00	4 079 191,00
01 00	შრომის ანაზღაურება	1 755 661,96	2 525 300,00	3 026 000,00	0,00	3 026 000,00
01 00	საქონელი და მომსახურება	461 962,73	668 314,22	764 691,00	0,00	764 691,00
01 00	პროცენტი	25 585,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 00	გრანტები	54 100,00	131 515,00	141 900,00	0,00	141 900,00
01 00	სოციალური უზრუნველყოფა	12 082,07	23 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 00	სხვა ხარჯები	91 143,15	88 350,00	86 600,00	0,00	86 600,00
01 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 806,00	177 600,00	260 419,00	0,00	260 419,00
01 00	ძირითადი აქტივები	2 806,00	177 600,00	260 419,00	0,00	260 419,00
01 00	ვალდებულებების კლება	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00





01 00	საშინაო	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	2 377 755,91	3 580 929,00	4 259 610,00	0,00	4 259 610,00
01 01	ხარჯები	2 374 949,91	3 403 329,00	3 999 191,00	0,00	3 999 191,00
01 01	შრომის ანაზღაურება	1 755 661,96	2 525 300,00	3 026 000,00	0,00	3 026 000,00
01 01	საქონელი და მომსახურება	461 962,73	645 064,00	724 691,00	0,00	724 691,00
01 01	გრანტები	54 100,00	131 515,00	141 900,00	0,00	141 900,00
01 01	სოციალური უზრუნველყოფა	12 082,07	23 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 01	სხვა ხარჯები	91 143,15	78 450,00	76 600,00	0,00	76 600,00
01 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 806,00	177 600,00	260 419,00	0,00	260 419,00
01 01	ძირითადი აქტივები	2 806,00	177 600,00	260 419,00	0,00	260 419,00
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	608 908,68	826 351,00	951 700,00	0,00	951 700,00
01 01 01	ხარჯები	608 908,68	822 351,00	941 700,00	0,00	941 700,00
01 01 01	შრომის ანაზღაურება	448 892,38	654 500,00	732 000,00	0,00	732 000,00
01 01 01	საქონელი და მომსახურება	71 206,30	109 101,00	137 700,00	0,00	137 700,00
01 01 01	სოციალური უზრუნველყოფა	2 400,00	0,00	7 000,00	0,00	7 000,00
01 01 01	სხვა ხარჯები	86 410,00	58 750,00	65 000,00	0,00	65 000,00
01 01 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	4 000,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 01 01	ძირითადი აქტივები	0,00	4 000,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1 663 161,46	2 592 578,00	3 059 910,00	0,00	3 059 910,00
01 01 02	ხარჯები	1 660 355,46	2 421 978,00	2 870 491,00	0,00	2 870 491,00
01 01 02	შრომის ანაზღაურება	1 227 991,78	1 753 800,00	2 154 000,00	0,00	2 154 000,00
01 01 02	საქონელი და მომსახურება	364 677,06	494 963,00	540 991,00	0,00	540 991,00
01 01 02	გრანტები	54 100,00	131 515,00	141 900,00	0,00	141 900,00
01 01 02	სოციალური უზრუნველყოფა	9 682,07	23 000,00	23 000,00	0,00	23 000,00
01 01 02	სხვა ხარჯები	3 904,55	18 700,00	10 600,00	0,00	10 600,00
01 01 02	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 806,00	170 600,00	189 419,00	0,00	189 419,00
01 01 02	ძირითადი აქტივები	2 806,00	170 600,00	189 419,00	0,00	189 419,00
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	105 685,77	162 000,00	248 000,00	0,00	248 000,00
01 01 03	ხარჯები	105 685,77	159 000,00	187 000,00	0,00	187 000,00
01 01 03	შრომის ანაზღაურება	78 777,80	117 000,00	140 000,00	0,00	140 000,00



01 01 03	საქონელი და მომსახურება	26 079,37	41 000,00	46 000,00	0,00	46 000,00
01 01 03	სხვა ხარჯები	828,60	1 000,00	1 000,00	0,00	1 000,00
01 01 03	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	3 000,00	61 000,00	0,00	61 000,00
01 01 03	ძირითადი აქტივები	0,00	3 000,00	61 000,00	0,00	61 000,00
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	75 061,00	129 250,22	148 000,00	0,00	148 000,00
01 02	ხარჯები	25 585,00	63 150,22	80 000,00	0,00	80 000,00
01 02	საქონელი და მომსახურება	0,00	23 250,22	40 000,00	0,00	40 000,00
01 02	პროცენტი	25 585,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 02	სხვა ხარჯები	0,00	9 900,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 02	ვალდებულებების კლება	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
01 02	საშინაო	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,00	23 250,22	40 000,00	0,00	40 000,00
01 02 01	ხარჯები	0,00	23 250,22	40 000,00	0,00	40 000,00
01 02 01	საქონელი და მომსახურება	0,00	23 250,22	40 000,00	0,00	40 000,00
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,00	9 900,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 02 02	ხარჯები	0,00	9 900,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 02 02	სხვა ხარჯები	0,00	9 900,00	10 000,00	0,00	10 000,00
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	75 061,00	96 100,00	98 000,00	0,00	98 000,00
01 02 03	ხარჯები	25 585,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 02 03	პროცენტი	25 585,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
01 02 03	ვალდებულებების კლება	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
01 02 03	საშინაო	49 476,00	66 100,00	68 000,00	0,00	68 000,00
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	10 861 560,01	14 514 757,45	13 245 326,61	6 155 851,61	7 089 475,00
02 00	ხარჯები	914 263,65	1 290 813,00	1 127 000,00	0,00	1 127 000,00
02 00	საქონელი და მომსახურება	157 987,36	200 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 00	სუბსიდიები	673 863,25	756 400,00	757 000,00	0,00	757 000,00
02 00	სხვა ხარჯები	82 413,04	334 413,00	200 000,00	0,00	200 000,00
02 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	9 947 296,36	13 223 944,45	12 118 326,61	6 155 851,61	5 962 475,00
02 00	ძირითადი აქტივები	9 947 296,36	13 223 944,45	12 118 326,61	6 155 851,61	5 962 475,00
	საგზაო ინფრასტრუქტურის					



02 01	განვითარება	7 424 240,40	7 925 547,67	8 172 644,19	4 991 663,19	3 180 981,00
02 01	ხარჯები	157 987,36	220 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 01	საქონელი და მომსახურება	157 987,36	200 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 266 253,04	7 705 547,67	8 002 644,19	4 991 663,19	3 010 981,00
02 01	ძირითადი აქტივები	7 266 253,04	7 705 547,67	8 002 644,19	4 991 663,19	3 010 981,00
02 01 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია	7 266 253,04	7 705 547,67	8 002 644,19	4 991 663,19	3 010 981,00
02 01 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 266 253,04	7 705 547,67	8 002 644,19	4 991 663,19	3 010 981,00
02 01 01	ძირითადი აქტივები	7 266 253,04	7 705 547,67	8 002 644,19	4 991 663,19	3 010 981,00
02 01 02	შიდა გზების მოვლა პატრონობა	157 987,36	220 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 01 02	ხარჯები	157 987,36	220 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 01 02	საქონელი და მომსახურება	157 987,36	200 000,00	170 000,00	0,00	170 000,00
02 02	წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	710 663,65	2 790 247,78	1 387 641,7	70 873,7	1 316 768,0
02 02	არაფინანსური აქტივების ზრდა	710 663,65	2 790 247,78	1 387 641,7	70 873,7	1 316 768,0
02 02	ძირითადი აქტივები	710 663,65	2 790 247,78	1 387 641,7	70 873,7	1 316 768,0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, რეაბილიტაცია	374 644,03	2 137 020,78	1 179 269,7	70 873,7	1 108 396,0
02 02 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	374 644,03	2 137 020,78	1 179 269,7	70 873,7	1 108 396,0
02 02 01	ძირითადი აქტივები	374 644,03	2 137 020,78	1 179 269,7	70 873,7	1 108 396,0
02 02 03	სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა, რეაბილიტაცია	336 019,62	653 227,00	208 372,00	0,00	208 372,00
02 02 03	არაფინანსური აქტივების ზრდა	336 019,62	653 227,00	208 372,00	0,00	208 372,00
02 02 03	ძირითადი აქტივები	336 019,62	653 227,00	208 372,00	0,00	208 372,00
02 03	გარე განათება	673 863,25	1 175 240,00	1 230 799,00	0,00	1 230 799,00
02 03	ხარჯები	673 863,25	756 400,00	757 000,00	0,00	757 000,00
02 03	სუბსიდიები	673 863,25	756 400,00	757 000,00	0,00	757 000,00
02 03	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	418 840,00	473 799,00	0,00	473 799,00
02 03	ძირითადი აქტივები	0,00000	418 840,00	473 799,00	0,00	473 799,00
02 03 01	გარე განათების მშენებლობა რეაბილიტაცია	0,00000	418 840,00	473 799,00	0,00	473 799,00
02 03 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00000	418 840,00	473 799,00	0,00	473 799,00
02 03 01	ძირითადი აქტივები	0,00000	418 840,00	473 799,00	0,00	473 799,00



02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	673 863,25	756 400,00	757 000,00	0,00	757 000,00
02 03 02	ხარჯები	673 863,25	756 400,00	757 000,00	0,00	757 000,00
02 03 02	სუბსიდიები	673 863,25	756 400,00	757 000,00		757 000,00
02 04	შენობების და ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	80 415,53	162 222,00	150 000,00	0,00	150 000,00
02 04	არაფინანსური აქტივების ზრდა	80 415,53	162 222,00	150 000,00	0,00	150 000,00
02 04	ძირითადი აქტივები	80 415,53	162 222,00	150 000,00	0,00	150 000,00
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	82 413,04	269 000,00	200 000,00	0,00	200 000,00
02 05	ხარჯები	82 413,04	269 000,00	200 000,00	0,00	200 000,00
02 05	სხვა ხარჯები	82 413,04	269 000,00	200 000,00	0,00	200 000,00
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 06	არაფინანსური აქტივების ზრდა	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 06	ძირითადი აქტივები	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 06 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 06 01	ძირითადი აქტივები	503 954,72	612 000,00	650 000,00	0,00	650 000,00
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვა	398 742,64	428 500,00	334 927,00	0,00	334 927,00
02 07	არაფინანსური აქტივების ზრდა	398 742,64	383 087,00	334 927,00	0,00	334 927,00
02 07	ძირითადი აქტივები	398 742,64	383 087,00	334 927,00	0,00	334 927,00
02 08	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	987 266,78	1 152 000,00	1 119 314,74	1 093 314,74	26 000,00
02 08	არაფინანსური აქტივების ზრდა	987 266,78	1 152 000,00	1 119 314,74	1 093 314,74	26 000,00
02 08	ძირითადი აქტივები	987 266,78	1 152 000,00	1 119 314,74	1 093 314,74	26 000,00
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 535 184,63	2 513 870,00	2 745 907,00	0,00	2 745 907,00
03 00	ხარჯები	1 512 272,63	1 694 490,00	2 027 000,00	0,00	2 027 000,00
03 00	სუბსიდიები	1 365 872,63	1 694 490,00	2 027 000,00	0,00	2 027 000,00
03 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	22 912,00	819 380,00	718 907,00	0,00	718 907,00
03 00	ძირითადი აქტივები	22 912,00	819 380,00	718 907,00	0,00	718 907,00



03 01	კაპიტალური დაბანდება დასუფთავების სფეროში	146 400,00	754 070,00	718 907,00	0,00	718 907,00
03 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00000	754 070,00	718 907,00000	0,00000	718 907,00000
03 01	ძირითადი აქტივები	0,00000	754 070,00	718 907,00000	0,00000	718 907,00000
03 02	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 123 598,64	1 360 600,00	1 604 000,00	0,00	1 604 000,00
03 02	ხარჯები	1 123 598,64	1 360 600,00	1 604 000,00	0,00	1 604 000,00
03 02	სუბსიდიები	1 123 598,64	1 360 600,00	1 604 000,00		1 604 000,00
03 03	მწვანე ნარგავების, სკვერების, წყლის სისტემებისა და მადრევენების მოვლა-პატრონობა, განვითარება	265 185,99	399 200,00	423 000,00	0,00	423 000,00
03 03	ხარჯები	242 273,99	333 890,00	423 000,00	0,00	423 000,00
03 03	სუბსიდიები	242 273,99	333 890,00	423 000,00		423 000,00
04 00	განათლება	3 007 167,75	3 439 884,77	3 804 075,99	2 176,99	3 801 899,00
04 00	ხარჯები	2 346 858,29	2 975 072,69	3 589 200,00	0,00	3 589 200,00
04 00	სუბსიდიები	2 150 935,23	2 528 000,00	3 589 200,00	0,00	3 589 200,00
04 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	660 309,46	464 812,08	214 875,99	2 176,99	212 699,00
04 00	ძირითადი აქტივები	660 309,46	464 812,08	214 875,99	2 176,99	212 699,00
04 01	სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	518 215,20	287 178,70	212 699,00	0,00	212 699,00
04 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	518 215,20	287 178,70	212 699,00	0,00	212 699,00
04 01	ძირითადი აქტივები	518 215,20	287 178,70	212 699,00	0,00	212 699,00
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 189 918,49	2 598 000,00	3 589 200,00	0,00	3 589 200,00
04 02	ხარჯები	2 127 645,23	2 528 000,00	3 589 200,00	0,00	3 589 200,00
04 02	სუბსიდიები	2 127 645,23	2 528 000,00	3 589 200,00		3 589 200,00
04 04	სკოლების მშენებლობა - რეაბილიტაცია და მოსწავლეების ტრანსპორტირება	275 744,06	554 706,07	2 176,99	2 176,99	0,00
04 04	არაფინანსური აქტივების ზრდა	79 821,00	107 633,38	2 176,99	2 176,99	0,00
04 04	ძირითადი აქტივები	79 821,00	107 633,38	2 176,99	2 176,99	0,00
05 00	კულტურა ახალგაზრდობა და სპორტი.	4 841 911,69	4 785 772,56	3 533 880,40	0,00	3 533 880,40
05 00	ხარჯები	1 403 197,14	1 907 150,00	2 616 000,00	0,00	2 616 000,00
05 00	სუბსიდიები	1 313 197,14	1 783 237,00	2 526 000,00	0,00	2 526 000,00



05 00	სხვა ხარჯები	90 000,00	90 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
05 00	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 438 714,55	2 878 622,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 00	ძირითადი აქტივები	3 438 714,55	2 878 622,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	4 027 319,43	3 862 052,56	2 389 880,40	0,00	2 389 880,40
05 01	ხარჯები	599 213,88	983 430,00	1 472 000,00	0,00	1 472 000,00
05 01	სუბსიდიები	599 213,88	949 517,00	1 472 000,00	0,00	1 472 000,00
05 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 428 105,55	2 878 622,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01	ძირითადი აქტივები	3 428 105,55	2 878 622,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01 01	მშენებლობა რეაბილიტაცია სპორტის სფეროში	3 422 460,55	2 773 752,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01 01	არაფინანსური აქტივების ზრდა	3 422 460,55	2 739 839,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01 01	ძირითადი აქტივები	3 422 460,55	2 739 839,56	917 880,40	0,00	917 880,40
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	604 858,88	1 088 300,00	812 000,00	0,00	812 000,00
05 01 02	ხარჯები	599 213,88	949 517,00	812 000,00	0,00	812 000,00
05 01 02	სუბსიდიები	599 213,88	949 517,00	812 000,00		812 000,00
05 01 03	საცურაო აუზის მოვლა-პატრონობა	0,00	0,00	500 000,00	0,00	500 000,00
05 01 03	ხარჯები	0,00	0,00	500 000,00	0,00	500 000,00
05 01 03	სუბსიდიები	0,00	0,00	500 000,00		500 000,00
05 01 04	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	0,00	0,00	160 000,00	0,00	160 000,00
05 01 04	ხარჯები	0,00	0,00	160 000,00	0,00	160 000,00
05 01 04	სუბსიდიები	0,00	0,00	160 000,00		160 000,00
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	792 772,16	873 169,00	1 069 000,00	0,00	1 069 000,00
05 02	ხარჯები	782 163,16	873 169,00	1 069 000,00	0,00	1 069 000,00
05 02	სუბსიდიები	692 163,16	783 169,00	979 000,00	0,00	979 000,00
05 02	სხვა ხარჯები	90 000,00	90 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
05 02 02	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	27 800,00	23 409,00	30 000,00	0,00	30 000,00
05 02 02	ხარჯები	27 800,00	23 409,00	30 000,00	0,00	30 000,00
05 02 02	სუბსიდიები	27 800,00	23 409,00	30 000,00		30 000,00



05 02 03	ხელოვნების სკოლების ხელშეწყობა	331 662,51	380 120,00	450 000,00	0,00	450 000,00
05 02 03	ხარჯები	330 362,51	380 120,00	450 000,00	0,00	450 000,00
05 02 03	სუბსიდიები	330 362,51	380 120,00	450 000,00		450 000,00
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	42 511,83	43 868,00	56 000,00	0,00	56 000,00
05 02 04	ხარჯები	40 511,83	43 868,00	56 000,00	0,00	56 000,00
05 02 04	სუბსიდიები	40 511,83	43 868,00	56 000,00		56 000,00
05 02 05	კულტურის ცენტრის ხელშეწყობა	143 415,33	169 020,00	200 000,00	0,00	200 000,00
05 02 05	ხარჯები	140 566,33	169 020,00	200 000,00	0,00	200 000,00
05 02 05	სუბსიდიები	140 566,33	169 020,00	200 000,00		200 000,00
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	31 010,15	34 100,00	43 000,00	0,00	43 000,00
05 02 06	ხარჯები	31 010,15	34 100,00	43 000,00	0,00	43 000,00
05 02 06	სუბსიდიები	31 010,15	34 100,00	43 000,00		43 000,00
05 02 07	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	41 330,54	45 188,00	52 000,00	0,00	52 000,00
05 02 07	ხარჯები	41 330,54	45 188,00	52 000,00	0,00	52 000,00
05 02 07	სუბსიდიები	41 330,54	45 188,00	52 000,00		52 000,00
05 02 08	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანებების ადმინისტრაცია	67 895,87	60 344,00	104 000,00	0,00	104 000,00
05 02 08	ხარჯები	63 435,87	60 344,00	104 000,00	0,00	104 000,00
05 02 08	სუბსიდიები	63 435,87	60 344,00	104 000,00		104 000,00
05 02 09	საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა	17 145,93	18 300,00	21 000,00	0,00	21 000,00
05 02 09	ხარჯები	17 145,93	18 300,00	21 000,00	0,00	21 000,00
05 02 09	სუბსიდიები	17 145,93	18 300,00	21 000,00		21 000,00
05 02 10	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	90 000,00	90 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
05 02 10	ხარჯები	90 000,00	90 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
05 02 10	სხვა ხარჯები	90 000,00	90 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
05 02 11	ტურიზმის განვითარება	0,00	8 820,00	23 000,00	0,00	23 000,00
05 02 11	ხარჯები	0,00	8 820,00	23 000,00	0,00	23 000,00
05 02 11	სუბსიდიები	0,00	8 820,00	23 000,00		23 000,00



05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	21 820,10	50 551,00	75 000,00	0,00	75 000,00
05 03	ხარჯები	21 820,10	50 551,00	75 000,00	0,00	75 000,00
05 03	სუბსიდიები	21 820,10	50 551,00	75 000,00		75 000,00
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	933 920,26	1 406 685,00	1 273 200,00	0,00	1 273 200,00
06 00	ხარჯები	933 920,26	1 406 685,00	1 273 200,00	0,00	1 273 200,00
06 00	სუბსიდიები	128 089,96	125 000,00	150 000,00	0,00	150 000,00
06 00	სოციალური უზრუნველყოფა	761 146,87	1 125 685,00	1 053 200,00	0,00	1 053 200,00
06 00	სხვა ხარჯები	44 683,43	156 000,00	70 000,00	0,00	70 000,00
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	95 089,96	125 000,00	150 000,00	0,00	150 000,00
06 01	ხარჯები	95 089,96	125 000,00	150 000,00	0,00	150 000,00
06 01	სუბსიდიები	95 089,96	125 000,00	150 000,00		150 000,00
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	838 830,30	1 281 685,00	1 123 200,00	0,00	1 123 200,00
06 02	ხარჯები	838 830,30	1 281 685,00	1 123 200,00	0,00	1 123 200,00
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	761 146,87	1 125 685,00	1 053 200,00	0,00	1 053 200,00
06 02	სხვა ხარჯები	44 683,43	156 000,00	70 000,00	0,00	70 000,00
06 02 01	გაჭირვებული მოსახლეობის უფასო კვებით უზრუნველყოფა	67 788,00	85 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
06 02 01	ხარჯები	67 788,00	85 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
06 02 01	სოციალური უზრუნველყოფა	67 788,00	85 000,00	90 000,00	0,00	90 000,00
06 02 02	მოსახლეობის მკურნალობა	516 820,87	772 485,00	714 900,00	0,00	714 900,00
06 02 02	ხარჯები	516 820,87	772 485,00	714 900,00	0,00	714 900,00
06 02 02	სოციალური უზრუნველყოფა	516 820,87	772 485,00	714 900,00	0,00	714 900,00
06 02 03	მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილთა დახმარება	103 800,00	117 000,00	117 000,00	0,00	117 000,00
06 02 03	ხარჯები	103 800,00	117 000,00	117 000,00	0,00	117 000,00
06 02 03	სოციალური უზრუნველყოფა	103 800,00	117 000,00	117 000,00	0,00	117 000,00
06 02 04	ცელიაკით დაავადებულ და თირკმლის ჩანაცვლებით მკურნალობაზე (დიალიზი) მყოფ პირთა დახმარება	31 488,00	40 000,00	39 600,00	0,00	39 600,00
06 02 04	ხარჯები	31 488,00	40 000,00	39 600,00	0,00	39 600,00
06 02 04	სოციალური უზრუნველყოფა	31 488,00	40 000,00	39 600,00	0,00	39 600,00
06 02 05	სტუდენტების სოციალური	27 000,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00





	დახმარება					
06 02 05	ხარჯები	27 000,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
06 02 05	სხვა ხარჯები	27 000,00	30 000,00	30 000,00	0,00	30 000,00
06 02 06	შშმ პირების დახმარება	33 000,00	33 000,00	18 000,00	0,00	18 000,00
06 02 06	ხარჯები	33 000,00	33 000,00	18 000,00	0,00	18 000,00
06 02 06	სოციალური უზრუნველყოფა	0,00000	33 000,00000	18 000,00	0,00	18 000,00
06 02 07	მკვეთრად გამოხატული (ტოტალური) უსინათლოების დახმარება	22 200,00	28 000,00	28 000,00	0,00	28 000,00
06 02 07	ხარჯები	22 200,00	28 000,00	28 000,00	0,00	28 000,00
06 02 07	სოციალური უზრუნველყოფა	22 200,00	28 000,00	28 000,00	0,00	28 000,00
06 02 08	სამამულო ომის ვეტერანების დახმარება	500,00	1 000,00	1 000,00	0,00	1 000,00
06 02 08	ხარჯები	500,00	1 000,00	1 000,00	0,00	1 000,00
06 02 08	სოციალური უზრუნველყოფა	500,00	1 000,00	1 000,00	0,00	1 000,00
06 02 09	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ინვალიდი ვეტერანების დახმარება	3 300,00	4 200,00	4 200,00	0,00	4 200,00
06 02 09	ხარჯები	3 300,00	4 200,00	4 200,00	0,00	4 200,00
06 02 09	სოციალური უზრუნველყოფა	3 300,00	4 200,00	4 200,00	0,00	4 200,00
06 02 10	100 წელს გადაცილებულ უზუვესთა დახმარება	1 500,00	3 000,00	3 000,00	0,00	3 000,00
06 02 10	ხარჯები	1 500,00	3 000,00	3 000,00	0,00	3 000,00
06 02 10	სოციალური უზრუნველყოფა	1 500,00	3 000,00	3 000,00	0,00	3 000,00
06 02 11	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება	1 000,00	5 000,00	5 000,00	0,00	5 000,00
06 02 11	ხარჯები	1 000,00	5 000,00	5 000,00	0,00	5 000,00
06 02 11	სოციალური უზრუნველყოფა	1 000,00	5 000,00	5 000,00	0,00	5 000,00
06 02 12	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების მიცვალებულის დაკრძალვის სარიტუალო მოსახურების დაფინანსება	10 750,00	10 000,00	10 500,00	0,00	10 500,00
06 02 12	ხარჯები	10 750,00	10 000,00	10 500,00	0,00	10 500,00
06 02 12	სოციალური უზრუნველყოფა	10 750,00	10 000,00	10 500,00	0,00	10 500,00
	ვეტერანთა სარიტუალო					



06 02 13	მომსახურება	2 000,00	2 000,00	2 000,00	0,00	2 000,00
06 02 13	ხარჯები	2 000,00	2 000,00	2 000,00	0,00	2 000,00
06 02 13	სოციალური უზრუნველყოფა	2 000,00	2 000,00	2 000,00	0,00	2 000,00
06 02 14	სტიქიური უბედურებებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება	17 683,43	126 000,00	40 000,00	0,00	40 000,00
06 02 14	ხარჯები	17 683,43	126 000,00	40 000,00	0,00	40 000,00
06 02 14	სხვა ხარჯები	17 683,43	126 000,00	40 000,00	0,00	40 000,00
06 02 15	ცერებრალური დამბლის მქონე პირთა დახმარება	0,00	25 000,00	20 000,00	0,00	20 000,00
06 02 15	ხარჯები	0,00	25 000,00	20 000,00	0,00	20 000,00
06 02 15	სოციალური უზრუნველყოფა	0,00	25 000,00	20 000,00	0,00	20 000,00

#### თავი IV. მარეგულირებელი ნორმები

#### მუხლი 16. ქარელის მუნიციპალიტეტის ფონდები

##### 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი **40 ათასი** ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

##### 2. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების, აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა

ა. წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას **10 ათასი** ლარი.

ბ. წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2022 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

#### მუხლი 17. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი **400 ათ ათასი** ლარი მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. კერძოდ:

ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის **248 ათასი** ლარი;



ბ) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 150 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2 ათასი ლარი;

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

## **მუხლი 18. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს პროგრამით გათვალისწინებული წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 19. ასიგნებების დაფინანსება**

ქარელის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

## **მუხლი 20. ასიგნებების გადანაწილება**

ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2015 წლის 26 ივნისის №16 დადგენილების „ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის და გეგმის ცვლილების ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ - შესაბამისად.

## **მუხლი 21. კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდოს, დანამატისა და სხვა გასაცემლების ანაზღაურება**

2023 წლის განმავლობაში ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემელი ანაზღაურდეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

## **მუხლი 22. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა**

კონტროლი ქარელის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელებაზე, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის შესაბამის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

